

**შპს „მაღოჰავაგი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის**

შპს "მადოჰავაგი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	01.01.2019	01.01.2018	01.01.2017	
აქტივები				
მიმდინარე აქტივები, სულ:	2210734	1619856	691634	
ფულადი სახსრები	1847157	827144	309939	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	344858	371362	354262	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1649	1853	2030	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	5670		2603	3.3
წინასწარ გადახდილი გადასახადები		408097		3.4
სხვა მიმდინარე აქტივები	11400	11400	22800	3.4
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	312133	437452	533479	
ძირითადი საშუალებები	312133	437452	533479	3.5
სულ აქტივები:	2522867	2057308	1225113	
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები, სულ:	6887	2991	43594	
სავაჭრო ვალდებულებები	1303	825	271	
საგადასახადო ვალდებულებები	3418		41157	3.6
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2166	2166	2166	
სულ კაპიტალი:	2515980	2054317	1181519	3.7
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2000	2000	2000	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2513980	2052317	1179519	
არამაკონტროლებელი წილი				
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2522867	2057308	1225113	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.				
დირექტორი _____	ვაჟა სიხარულიძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				

შპს "მადოჭავაგი"			
მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება			
			ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2018	2017	
ამონაგები	1340386	1529938	3.8
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	1340386	1529938	
მიწოდების ხარჯები	-1408	-811	3.9
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-644456	-685449	3.1
სულ საოპერაციო ხარჯები:	-645864	-686260	
საპროცენტო შემოსავალი	5783	2174	
დადებითი საკურსო სხვაობები	22803	67091	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	3	7	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	28589	69272	3.11
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	162	-615	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-1261	-39538	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-5		
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-1104	-40153	3.12
მოგება დაბეგვრამდე:	722007	872797	
მოგების გადასახადის ხარჯი	-22333		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	699674	872797	3.13
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2054317	1181520	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-238011		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	699674	872797	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:	2515980	2054317	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.			
დირექტორი _____ ვაჟა სიხარულიძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს "მადოჰავაგი"			
ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)			
			ერთეული: 1 GEL
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2018	2017	
ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1382432	1652095	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-124411	-110337	
გაცემული შრომის ანაზღაურება	-281719	-283895	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	290747	-634882	
გადახდილი მოგების გადასახადი		-38500	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-422	-3105	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1266627	581376	
ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-64972	-121335	
მიღებული პროცენტები	5783	2174	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-59189	-119161	
ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:			
გადახდილი დივიდენდები	-210228		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-210228		
ვ ა ლ უ ტ ი ს კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	22803	54990	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	1020013	517205	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	827144	309939	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1847157	827144	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.			
დირექტორი _____		ვაჟა სიხარულიძე	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „მადოჰავაგი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2004 წლის 14 ივლისს მცხეთის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერია 46/5/ზ-194. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 236082680, იურიდიული მისამართი - საქართველო, მცხეთა სოფ წილკანი. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2004 წლის 11 ოქტომბერს.

1.2. კომპანიის ერთადერთი, 100%-იანი წილის მფლობელია თორნიკე სიხარულიძე (პ.ნ. 01024059593).

1.3. კომპანიის დირექტორია ვაჟა სიხარულიძე (პ.ნ. 01024001622).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ავტომობილებისა და მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების იჯარა და ლიზინგი.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ლოკაციის 1 ადგილიდან (თბილისში).

1.6. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები),

რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	0	0	0
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1128882	236214	7045
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	660093	590930	247309
ევრო საბანკო ანგარიშებზე	58183		
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	0	0	55585
სულ:	1847157	827144	309939

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაყიდვიდან	344858	371362	354262
სულ:	344858	371362	354262

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალი რეზიდენტი იურიდიული პირის წინაშე აქვს სულ 2 კომპანია. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე, სულ - 7 დებიტორი 31.12.2018 წ. მდგომარეობით.

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
საწვავ-საცხები მასალები	4450	0	2603
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	1220	0	0
სულ:	5670	0	2603

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება ავტომობილის საბურავებისაგან.

3.4. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	0	408097	0
სხვა მიმდინარე აქტივები	11400	11400	22800
სულ:	11400	419497	22800

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წაყენებულ პრეტენზიას ერთ-ერთი ქართული კომპანიის მიმართ.

3.5. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
კომპიუტერები და აღჭურვილობა	0	0	0	0	0	0	0
ავეჯი და სხვა ინვენტარი							
სატრანსპორტო საშუალებები	311183	64400	188366	435148	118557	215958	532549
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	951	572	1925	2304	2778	1404	931
სულ:	312133	64972	190291	437452	121335	217362	533480

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 1528546 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 1338255 ლარი.

3.6. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	3418	0	41157
სულ:	3418	0	41157

საგადასახადო დავალიანება წარმოშობილია 2018 წლის დეკემბრის თვეში, რომლის დეკლარირებაც და გადახდაც მოხდა 2019 წლის იანვარში.

3.7. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება	2513980	2052317	1179519
სულ:	2515980	2054317	1181519

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2017-2018 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2018 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.8. ნეტო ამონაგები

2017-2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან.

3.9. მიწოდების ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
სხვა მიწოდების ხარჯები	1408	811
სულ:	1408	811

მიწოდების ხარჯი შედგება საფოსტო-საკურიერო ხარჯებისაგან.

3.10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
ხელფასი და მასთან გათანაბრებული სარგებელი	352149	353825
ქონების გადასახადის და სხვა საგადასახადო ხარჯები	2041	8117
ავტოტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	7082	6168
საწვავის ხარჯები	81991	76332
ცვეთა და ამორტიზაცია	190291	217362
საკომუნიკაციო ხარჯები	0	0
საბანკო ხარჯები	510	3193
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10394	20452
სულ:	644456	685449

3.11. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი	2017 წელი
ფინანსური შემოსავლები (საბანკო ანგარიშებზე დარიცხული პროცენტი)	5783	2174
დადებითი საკურსო სხვაობები	22803	67091
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	3	7
სულ:	28589	69272

3.12. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი	2017 წელი
უარყოფითი საკურსო სხვაობები	1261	39538
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-162	615
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	5	0
სულ:	1104	40153

3.13. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა 2017 წლის მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის“ შესაბამისად) 2018 წელს. 2017 წელს მოგების განაწილება არ მომხდარა და შესაბამისად, 2017 წელს კომპანიას არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.14. სასამართლო დავები

კომპანიას 2018 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.16. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2018 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

შპს "მადოჰავაგი"


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი			შენიშვნა
	01.01.2019	01.01.2018	01.01.2017	
აქტივები				
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>2210734</i>	<i>1619856</i>	<i>691634</i>	
ფულადი სახსრები	1847157	827144	309939	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	344858	371362	354262	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1649	1853	2030	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	5670		2603	3.3
წინასწარ გადახდილი გადასახადები		408097		3.4
სხვა მიმდინარე აქტივები	11400	11400	22800	3.4
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>312133</i>	<i>437452</i>	<i>533479</i>	
ძირითადი საშუალებები	312133	437452	533479	3.5
სულ აქტივები:	2522867	2057308	1225113	
ვალდებულებები და კაპიტალი				
<i>ვალდებულებები, სულ:</i>	<i>6887</i>	<i>2991</i>	<i>43594</i>	
სავაჭრო ვალდებულებები	1303	825	271	
საგადასახადო ვალდებულებები	3418		41157	3.6
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2166	2166	2166	
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>2515980</i>	<i>2054317</i>	<i>1181519</i>	3.7
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	2000	2000	2000	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2513980	2052317	1179519	
არამაკონტროლებელი წილი				
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2522867	2057308	1225113	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი



ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "მადოპავაგი"

მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2018	2017	
ამონაგები	1340386	1529938	3.8
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	1340386	1529938	
მიწოდების ხარჯები	-1408	-811	3.9
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-644456	-685449	3.1
სულ საოპერაციო ხარჯები:	-645864	-686260	
საპროცენტო შემოსავალი	5783	2174	
დადებითი საკურსო სხვაობები	22803	67091	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	3	7	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	28589	69272	3.11
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	162	-615	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-1261	-39538	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-5		
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-1104	-40153	3.12
მოგება დაზეგვრამდე:	722007	872797	
მოგების გადასახადის ხარჯი	-22333		
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	699674	872797	3.13
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2054317	1181520	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):	-238011		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	699674	872797	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:	2515980	2054317	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაცემუნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი

[Handwritten signature]

ვაჟა სიხარულიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "მადოკავაგი"


ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	1382432	1652095
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-124411	-110337
გაცემული შრომის ანაზღაურება	-281719	-283895
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	290747	-634882
გადახდილი მოგების გადასახადი		-38500
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-422	-3105
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1266627	581376
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-64972	-121335
მიღებული პროცენტები	5783	2174
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-59189	-119161
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
გადახდილი დივიდენდები	-210228	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-210228	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	22803	54990
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	1020013	517205
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	827144	309939
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	1847157	827144

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2019 წ.

დირექტორი _____




_____ ვაჟა სიხარულიძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.